აკაკი გელაშვილი, რუსეთ-საქართველოს ომი 1812-1813 წლებში, თბ., 2023.

ნაშრომი ეძღვნება 1812-1813 წლებში აღმოსავლეთ საქართველოში განვითარებულ მოვლენებს, რომელიც, ისე როგორც ზოგადად, XIX საუკუნის რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლები, აჯანყების სახელით იყო ცნობილი. წიგნში განვითარებული და დასაბუთებულია აზრი, რომ ეს იყო არა აჯანყება, არამედ საშინაო და საგარეო ფაქტორებზე კარგად გათვლილი, ორგანიზებული ომი, შემადგენელი ნაწილი და გაგრძელება იმ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რომელსაც ქართველი ხალხი მთელი თავისი არსებობის მანძილზე ეწეოდა...

პროკოპი კესარიელი,საიდუმლო ისტორია, თარგმნა ელენე ეფრემიძემ, თბ., 2024

ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის ,,საიდუმლო ისტორია'' ანუ ,,ანეკდოტა'' უაღრესად მნიშვნელოვანი წყაროა VI საუკუნის ბიზანტიის ისტორიის შესასწავლად,რადგან ნაწარმოებში დაცული ცნობები ბიზანტიის ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში სხვაგან არსად გვხვდება.,,საიდუმლო ისტორია'' იუსტინიანეს სიცოცხლეში გამოსაქვეყნებლად არ იყო გამიზნული და,განსხვავებით ავტორის სხვა თხზულებებისგან,შეულამაზებლად და კრიტიკულად გვისურათებს ბიზანტიის იმპერატორის,იუსტინიანე I-ის პიროვნებას,მის მოღვაწეობასა და სამეფო კარს.

ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობების ძირითადი მიმართულებები, კერული 2 ნაკვეთად, თბ., 1 ნაკვ., 2023, 2 ნაკვ. 2024

კრებული მრავალსაუკუნოვანი ქართულ-ბიზანტიური ისტორიული და კულტურული ურთიერთობების ამსახველი კომპენდიუმია. მასში პირველად არის თავმოყრილი და მოკლედ გადმოცემული ქართულ-ბიზანტიური კავშირების ამსახველი ძირითადი სფეროები - სახელმწიფოსა და ეკლესიის ისტორია, განათლება, მწერლობა და ხელოვნება. კრებული ორი ნაკვეთისგან შედგება. პირველ ნაკვეთში (IX, 1) წარმოდგენილია სახელმიწიფოსა და ეკლესიის ისტორია, ცნობები მწიგნობრული და საგანმანათლებლო კერების შესახებ; მეორე ნაკვეთი (IX, 2) მწერლობის დარგებსა და ხელოვნებას ეთმობა

გიორგი ჯავახიშვილი, ადამიანის გამოსახულება საქართველოს უძველესი ხანის პლასტიკაში ნეოლითის ხანიდან ადრეფეოდალურ ხანამდე, თბ., გამომცემლობა აკადემიური წიგნი. 2024.

წიგნში განხილულია წინაქრისტიანული და ადრეფეოდალური ხანის საქართველოს მცირე და მონუმენტური ქანდაკების ნიმუშები. შეძლებისდაგვარად დადგენილია ის რთული გზა, რომელიც განვლო ადამიანის მხატვრულმა სახემ ქვემო ქართლის ნეოლითის თიხის ნაძერწი ქალის ფიგურებიდან ადრეფეოდალურ საკულტო მემორიალურ ძეგლების რელიეფურ გამოსახულებამდე და საფასადო მონუმენტურ პორტრეტამდე.წიგნს დართული აქვს თბილისის ეროვნული მუზეუმის ძირითად ფონდებში დაცული უძველესი ხანის ანთროპომორფული ქანდაკებების კატალოგი.

დავით მინდორაშვილი, უფლისციხე შუა საუკუნეებში, გამომცემლობა: აკადემიური წიგნი, 2024.

ნაშრომში განხილულია ქართული მატერიალური კულტურის შესანიშნავი ძეგლის, უფლისციხის შუა საუკუნეების ისტორიის სხვადასხვა საკითხი. ცნობილია,

რომ უფლისციხემ გამორჩეული როლი ითამაშა საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის საქმეში, რაც შუა საუკუნეების უფლისციხის ისტორიისადმი ინტერესს კიდევ უფრო ზრდის. ნაშრომი წარმოადგენს 2008 წელს დაბეჭდილი ამავე სახელწოდების მონოგრაფიის საფუძვლიანად შესწორებულ და გადამუშავებულ ვარიანტს.

ენ ეფლბაუმი, ავტოკრატების გაერთიანება, ინგლისურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ლელა დუმბაძემ, 2024

ენ ეფლბაუმი, ბრწყინვალე პუბლიცისტი, ისტორიკოსი და მწერალი, არაერთი ბესტსელერი წიგნისა თუ სტატიის ავტორი, პულიცერის პრემიის ლაურეატი, ლაკონიურად მოგვითხრობს, თუ რამ განაპირობა ის ვითარება, რომელიც II მსოფლიო ომის შემდეგ განვითარდა და დღევანდელი მსოფლიო დიქტატორულ რეჟიმებსა და დემოკრატიულ სამყაროს შორის უკიდურესად გამწვავებულ პოლარიზაციამდე და სისხლისმღვრელ ომებამდე მიიყვანა. როგორ გაერთიანდნენ კლეპტოკრატიული დიქტატორული სისტემები დემოკრატიული წყობისთვის ძირის გამოსათხრელად და, მეორე მხრივ, რა შეიძლება დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა იღონონ ამ ბოროტების ერთიანი ძალებით აღსაკვეთად. ეს სწორედ ის უმწვავესი საკითხებია, რომლებიც ყველაზე მეტად აღელვებს დღევანდელ საზოგადოებას როგორც საქართველოში, ისე მთელ დემოკრატიულ სამყაროში.

წალენჯიხა . ფერისცვალების ტაძარი, თბ., 2024

შუა საუკუნეების წალენჯიხის ფერისცვალების საკათედრო ტაძარი ისტორიული ოდიშის უმნიშვნელოვანესი სალოცავი იყო.

ტაძრის აგება X-XI – XII-XIII საუკუნეების შუალედებში ივარაუდება, მხატვრობა კი XIV საუკუნის მიწურულს ვამეყ დადიანის (13841396) თაოსნობით, კონსტანტინოპოლიდან მოწვეული მხატვრის, მანუილ ევგენიკოსის მიერაა შექმნილი.

ფერწერული ანსამბლის ისტორია ეკლესიაში არსებული საქტიტორო გამოსახულებებით და ორენოვანი წარწერებით კარგად არის ცნობილი. XVII საუკუნეში ფერწერა მეორე ფენით ნაწილობრივ განახლდა და შეივსო მოხატულობის დაზიანებული ადგილები. გვიან შუა საუკუნეებში ტაძრის ფასადებზე თაღოვანი გალერეები დადიანებმა ეგვტერებად ამოაშენეს. ეგვტერებში ქართული მხატვრობების გვიანი ხანის (XV, XVI, XVII და XIX სს.) ფერწერულ ნაკადთა – სხვადასხვა სტილის საინტერესო სახესხვაობებია თავმოყრილი.

მოხატულობაში რამდენიმე ათეული ისტორიული პორტრეტის სახით საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული რეალიების წარმოდგენისათვის უმნიშვნელოვანესი მასალაა დაცული.

უხვად ილუსტრირებული ორენოვანი ალბომი წალენჯიხის ეკლესიისა და მისი ფრესკების შესახებ განკუთვნილია საქართველოს ისტორიითა და კულტურით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

ფოტოგრაფი – ზაქარია ჭელიძე; ტექსტის ავტორი – ნელი ჩაკვეტაძე; დიზაინერი – ვიოლა ტუღუში

დაიბეჭდა ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტის მეუფე გერასიმეს (შარაშენიძე) ლოცვა-კურთხევით და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის გიორგი ხარჩილავასა და მოადგილის თამარ ბელქანიას ინიციატივით.

გელა გამყრელიძე, საქართველოს არქეოლოგიისთვის. იბერია-კოლხური პერიოდი, : 2024

წინამდებარე წიგნში საქართველოს იბერია-კოლხური პერიოდის (ძვ. წ VI ს. - ახ. წ. IV ს.) ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხებია განხილული. ნაშრომში ახალი არქეოლოგიური მასალისა და წერილობითი წყაროების ურთიერთშედარებისა და კვლევის საფუძველზე, გარკვეულწილად, ხერხდება საქართველოს ხსენებული ეპოქის ისტორიის მეტ-ნაკლები აღდგენა.

წიგნი განკუთვნილია საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველისთვის. ის ახალ, საინტერესო ინფორმაციას მიაწვდის სკოლის მასწავლებლებსა და სტუდენტებს.

GOCHA SAITIDZE, KAKUTSA CHOLOKASHVILI AND ANTI-SOVIET UPRISING OF 1924, TbILISI, 2024

After the defeat of the uprising organised in August 1924, Kakutsa Cholokashvili was forced to leave his homeland forever. In Georgia, conquered by Soviet Russia, any mention of this national hero of Georgia was strictly forbidden for many years.

In 1988, with the start of the new era in the national liberation movement, Cholokashvili's name was heard again and his portrait appeared at demonstrations. After 64 years, Kakutsa Cholokashvili returned to his homeland in this way, hence the number of stories included in this book.

In the chronologically arranged stories, the reader will follow Cholokashvili's life from the beginning of the struggle for Georgia's freedom to the arrival of his remains in his homeland.